



რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი

ტრენერი: შალვა კიკნაძე

დღის წესრიგი

დღე 1 10.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	პრე ტესტი (15 წთ) მონაწილეთა გაცნობა, სასწავლო კურსის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა, მონაწილეთა ინტერესებისა და მოლოდინების განსაზღვრა. შიდა აუდიტის პროფესიის დაბადება - შიდა აუდიტი, როგორც გლობალური პროფესიული ოჯახი, შიდა აუდიტორთა გლობალური ინსტიტუტი; - შიდა აუდიტის მოქმედი და განახლებული დეფინიცია; პრაქტიკული სწავლება: ჯგუფური თამაში - დაიცავი პროფესია.
შესვენება - 10 წთ	
18:10 – 19:10	შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო საფუძვლები, ზოგადი სტრუქტურა, გლობალური შიდა აუდიტის განახლებული სტანდარტები. - ძირითადი შიდააუდიტორული მარწმუნებელი მომსახურების სახეები და მათი კლასიფიკაცია თემატური რისკების მიხედვით; - შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო საფუძვლები; - შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები; დისკუსია: შეუძლია თუ არა შიდა აუდიტს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელება.

დღე 2 12.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	რისკის ცნება დამკვიდრება შიდა აუდიტის პროფესიაში - პარადიგმის ცვლილება - კონტროლზე ორიენტირებული თუ რისკზე დაფუძნებული შიდა აუდიტი - პარადიგმის ცვლილება; - რისკის ცნების შემოსვლა (შიდა და გარე) აუდიტის პროფესიაში, შიდა აუდიტის 1999 წლის განმარტება; - რატომ არის რისკზე ორიენტირებული მიდგომა იპტიმალური სტრატეგია? ჯგუფური დავალება/დისკუსია: როგორ ეპიტეთეთს შეურჩევადით თქვენი ორგანიზაციის შიდა აუდიტს. რა არის თქვენთვის მისაღები ეპიტეთი და რატომ?
შესვენება - 10 წთ	
18:10 – 19:10	მმართველობა/ზედამხედველობა საჯარო და კერძო ორგანიზაციაში. (კორპორაციული) მმართველობის/ზედამხედველობის პრაქტიკა საჯარო და კერძო სექტორისათვის (ISO 37000); - დირექტორთა საბჭო და აუდიტის კომიტეტი - ფუნქციონირების სპეციფიკა, საჯარო და კერძო სექტორი; - აღმასრულებელი მენეჯმენტი - ინფორმაციის ასიმეტრიულობისა და მორალური რისკების პრობლემა; დისკუსია: აუდიტის კომიტეტის საქმიანობის პრაქტიკა. დებულების ნიმუში.

დღე 3	
14.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	COSO – შიდა კონტროლის კონცეპტუალური მოდელი - რისკზე ორიენტირებული შიდა კონტროლის კონცეპტუალური მოდელის (COSO IC) „დაბადება“. შიდა კონტროლის სისტემური აღქმა. სისტემის მიზნები და მასთან დაკავშირებული ელემენტები; - COSO IC - 2013 მოდელის ელემენტების ახლოს გაცნობა; დისკუსია: შეიძლება თუ არა კონტროლის მიზნები იქცეს ორგანიზაციის მიზნებად.
შესვენება – 10 წთ	
18:10 – 19:10	შიდა კონტროლის საერთაშორისო კონცეპტუალური მოდელი - რისკზე ორიენტირებული შიდა კონტროლის კონცეპტუალური მოდელის (COSO IC) მაკომპენსირებელი კონტროლები; - ვინაა შიდა კონტროლის სისტემის მესაკუთრე ორგანიზაციაში. - ფუნდამენტალური ვექტორის - მიზანი, რისკი, კონტროლი - დამკვიდრება; ჯგუფური დავალება: გააჩნია თუ არა ორგანიზაციას ინსტიტუციონალური „სინდისი“? რომელ ფუნქციასთანაა ის ასოცირებული?

დღე 4	
17.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კონცეფცია და საქართველოს საჯარო საქმეორი. - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კონცეფცია და მისი ელემენტები; - ფინანსების მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა საჯარო ორგანიზაციაში. ე.წ. „ჭარმონიზაციის ცენტრის“ როლი; - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის რეფორმის კავშირი საჯარო ფინანსების მართვის სხვა რეფორმებთან. ნიდერლანდული PIFC-ის სახლი.
შესვენება – 10 წთ	
18:10 – 19:10	მენეჯერული ანგარიშვალდებულება და მისი როლი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პროცესში. - მენეჯერული ანგარიშვალდებულება. მისი ელემენტები და პრინციპები; - მენეჯერული ანგარიშვალდებულება და რისკის მართვის პროცესების ინიცირება საჯარო და კერძო ორგანიზაციის საქმიანობაში; - ფინანსური მართვისა და კონტროლი სისტემის მონაწილეები: ახალი როლები და ფუნქციები. დისკუსია: რა როლს უნდა ასრულებდეს შიდა აუდიტი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პროცესში?

დღე 5	
19.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	რისკის მართვა – საკვანძო კატეგორიები და ორგანიზაციული პროცესები - რისკის ცნება და მისი ორმაგი სახე: საფრთხის/შესაძლებლობების გამოვლენისა და არტიკულაციის მეთოდები და სტანდარტები; - რისკების კატეგორიები და ტაქსონომია; - რისკის მართვის პროცესების ორგანიზაციული მოწყობა - ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და თემატური (Silo) მოდელები; რისკის შეფასების/გაზომვის ტექნიკა - რისკების შეფასების მეთოდები - რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მაგალითები.
შესვენება – 10 წთ	

18:10 – 19:10	რისკის მართვა – საკვანძო კატეგორიები და ორგანიზაციული პროცესები (გამრძელები). - რისკების მიმართ არსებული ალტერნატიული მიდგომები/სტრატეგიები; - თანამდევი და ნარჩენი რისკების ცნებები; - რისკის მადა და რისკის დასაშვები დონე. მაგალითები პრაქტიკიდან; - რისკის კონტროლის მონიტორინგის დონისძიებები - შიდა კონტროლის პროცედურები; - რისკებზე შიდა და გარე ანგარიშგების სისტემა - ფორმატი, პერიოდულობა, ანგარიშგების ადრესატები და მათი საჭიროებები. ჯგუფური დავალება: რისკების მიმართ კონკრეტული ალტერნატიული მიდგომების იდენტიფიცირება.
---------------	---

დღე 6 21.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	რისკის მართვა და შიდა აუდიტი – ორი ფუნქციის სიმბოლური ურთიერთობა. - წითელი ზღვრები - რისკის მართვასა და შიდა აუდიტს შორის ურთიერთობაში; - რისკის მართვა, როგორც მენეჯერული სისტემა და ინვესტიციის ობიექტი - როგორ გაზომავდით რისკის მართვის სისტემების შედეგიანობას; (დაცვის) სამი ხაზის მოდელის შექმნა და მისი გამოყენება; - აუდიტის უნივერსის, რისკის რეესტრი თუ მარწმუნებელთა სქემა (Assurance map)? შიდა აუდიტის უნიკალური ადგილი და როლი. ჯგუფური დავალება: შექმენით დაცვის სამი ხაზის სქემა თქვენი ორგანიზაციისათვის
შესვენება – 10 წთ	
18:10 – 19:10	შიდა კონტროლის ადეკვატურობის შეფასება - შიდა კონტროლის ადეკვატურობის ცნება და მისი შეფასების მიდგომები. - შიდა კონტროლის შეფასების ყოვლისმომცველი მოდელი - ზოგადი ინფორმაცია; - შიდა კონტროლის შეფასების ყოვლისმომცველი მოდელის პრაქტიკაში გამოყენება. შეზღუდვები და სარგებელი. დისკუსია: შეიძლება თუ არა შიდა კონტროლის ადეკვატურობის საიმედოდ შეფასება. წინააღდეგობების გამოვლენა.

დღე 7 24.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარების სტრატეგია და საქმიანობის დაგეგმვა - შიდა აუდიტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება; - რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტის ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები; - შიდა აუდიტორული მომსახურებების წლიური და მრავალწლიური დაგეგმვის ეტაპები და ნაბიჯები. პრაქტიკული სწავლება - ყველაზე რისკიანი და პრიორიტეტული თემებისა და ობიექტების დასადგენად საჭირო ნაბიჯების განსაზღვრა.
შესვენება – 10 წთ	
18:10 – 19:10	შიდა აუდიტის საქმიანობის წლიური და მრავალწლიანი გეგმის შემუშავება. - შიდა აუდიტის უნივერსის შემუშავების მიდგომები: რომელია ყველაზე ოპტიმალური პრაქტიკა და რაზეა ის დამოკიდებული. - რისკების/რისკ-ფაქტორების შეფასება მაკრო დონეზე; - შიდა აუდიტის უნივერსის საფუძველზე წლიური გეგმის ფორმირების მიდგომები: ციკლური თუ დინამიურად განახლებადი გეგმები? პრაქტიკული სწავლება - ყველაზე რისკიანი და პრიორიტეტული თემებისა და ობიექტების დასადგენად საჭირო ნაბიჯების განსაზღვრა.

დღე 8	
26.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	ინდივიდუალური შიდააუდიტორული მარწმუნებელი მომსახურების განვვა – დაგეგმვა. - შიდააუდიტორული მომსახურების ობიექტის შერჩევა და დასაბუთება; - აუდიტის ობიექტის რისკების შეფასება/თვითშეფასება და მისი შედეგები; - შესაფერისი საანგარიშგებო კრიტერიუმების განსაზღვრა; - შიდააუდიტორილი მომსახურების მიზნებისა და მასშტაბის განსაზღვრა. აუდიტის კითხვების მომზადება; - ინდივიდუალურ შიდააუდიტორულ მომსახურების დაგეგმვასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამუშაო მასალების დოკუმენტირება.
შესვენება – 10 წთ	
18:10 – 19:10	ინდივიდუალური შიდააუდიტორული მარწმუნებელი მომსახურების განვვა – დაგეგმვა (გამრძელები) - შიდააუდიტორული მომსახურების პროგრამის შემუშავება და კომუნიკაცია; - შიდააუდიტორული მომსახურების დაგეგმვის პროცესის დოკუმენტალურად გაფორმება და სისტემატიზაცია. ჯგუფური სავარჯიშო: რისკების შეფასებიდან მომსახურების ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებამდე.

დღე 9	
28.11.2025	
დრო	თემატიკა
17:00 – 18:00	გავლილი თემების პანორამული სურათის გავლა – კურსის შეჯამება და საგამოცდო ტესტების ნიმუშების გაცნობა. - გავლილი თემებისა და საკვანძო კატეგორიების რეტროსპექტული განხილვა; - რომელი საკითხებისა და მეთოდების გამოყენებას შეეცდებით მომავალში;
შესვენება – 10 წთ	
18:10 – 19:10	- საგამოცდო ტესტების ნიმუშებისა და რეკომენდორებული მიდგომების გაცნობა; ჯგუფური დისკუსია: ურჩევდით თუ არა თქვენს ახლობელს შიდა აუდიტორობას? რატომ? პოსტ ტესტი (15 წთ)